ელექტრას სახის რეინტერპრეტაცია
მეოცე საუკუნის გერმანულენოვან ლიტერატურაში
(ჰუგო ფონ ჰოფმანსთალისა და გერჰარდ ჰაუპთმანის პიესების მიხედვით)

თინათინ მანაგაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტზე გერმანული ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელი: პროფესორი ლევან ცაგარელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ მანაგაძე 30.07.2018

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია ვაჩვენოთ ელექტრას პერსონაჟის სახეცვლილება საუკუნეთა განმავლობაში, თუ რა გზა განვლო მისმა გმირმა და როგორ აისახა იგი გერმანულენოვანი მწერლების ჰუგო ფონ ჰოფმანსთალის და გერჰარტ ჰაუპთმანის შემოქმედებაში.

ინტერტექსტუალობისა თეორიისა და დრამების ანალიზის საფუძველზე შევეცდებით ავხსნათ ის მსგავსება - თავისებურებები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ანტიკურ და თანამედროვე ლიტერატურის წარმომადგენლებს.

ნაშრომში განხილულია ანტიკური პერიოდის მწერლების ესქილეს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტრაგედიები. გაანალიზებულია ელექტრას პერსონაჟი და გამოკვეთილია მთავარი გმირის საერთო და განმასხვავებელი თვისებები თითოეულ ავტორთან.

ნაშრომის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მეოცე საუკუნის მწერლების შემოქმედებას. გამოყენებული იქნება მათი შემოქმედებითი და ისტორიული კონტექსტი. პიესათა ანალიზის და შედარების საფუძველზე განვიხილავთ ელექტრას პერსონაჟის ლიტერატურულ სახეცვლილებას და განვითარებას.

ბოლო, დასკვნით ნაწილში გაანალიზებულია ანტიკური პერიოდის და გერმანულენოვან მწერალთა ნაწარმოებების მსგავსების განმაპირობებელი მიზეზები.

საკვანძო სიტყვები: ინტერტექსტუალობა, შედარება, ელექტრა, ანტიკური ლიტერატურა, შურისძიება, ბედისწერა.